Education International
Internationale de l'Education
Internacional de la Educación
Bildungsinternationale

Head Office
5, Bd du Roi Albert II
1210 Brussels, Belgium
Tel +32 2 224 06 11
Fax +32 2 224 06 06
headoffice@ei-ie.org
http://www.ei-ie.org

President
Susan Hopgood

General Secretary
Fred van Leeuwen

2011 წლის 6 იანვარი, ბრიუსელი

ქალბატონ მაია კობახიძეს,
სპმთპ-ის პრეზიდენტი
თბილისი, საქართველო
პატივცემულო მაია,

2010 წლის 13 დეკემბერს განათლების ინტერნაციონალმა მიიღო წერილი ეკატერინე ჩერქეზიშვილის სახელით. ეს პიროვნება აცხადებს, რომ არის სპმთპ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.

ეს პიროვნება ასევე აცნობებს განათლების ინტერნაციონალს სხვადასხვა ფაქტების შესახებ, როდესაც მას არ აქვს არანაირი მტკიცებულებები, გარდა მისი სიტყვებისა.

ეს პირველი არ არის, რომ განათლების ინტერნაციონალი მსგავს წერილებს იღებს ამ პიროვნების სახელით.

ზემოდხსენებულ წერლის თან ვურთავთ თქვენი ინფორმაციისთვის. თქვენი გადასაწყვეტია შემდგომი ქმედებები აღნუშნულ წერილთან დაკავშირებით. როგორც განათლების ინტერნაციონლის მიერ 8 დეკემბერს გაკეთებულ განცხადებაშია აღნიშნული, ეს პიროვნება 30 ოქტომბერს სპმთპ-ის ყრილობის დროს შეეცადა სპმთპ-ის დელეგატებისთვის ჩამოერთმია ხმის მიცემის უფლება, რათა ორგანიზაციას არ აერჩია პრეზიდენტი.

ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ ეს პიროვნება აპირებდა მოეწვია არალეგიტიმური „ყრილობა“, სადაც სავარაუდოდ სურდათ სპმთპ-ის წესდებაში ცვლილებების შეტანა, რათა გაუქმდეს პრეზიდენტის არჩევისთვის საჭირო მოთხოვნები (სპმთ-ის წესდების მუხლი N: 7.1.3), რომლის ერთადერთი მიზანია არა პროფკავშირული წარსულის პიროვნების მოყვანა პრეზიდენტის პოსტზე.

კვლავ ვაცხადებთ, როგორც ეს განათლების ინტერნაციონალის 8 დეკემბერის განაცხადშია აღნიშნული, განათლების ინტერნაციონალი და მისი წევრი ორგანიზაციები ”გმობს სპმთპ-ის პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებულ ყველანაირ ქმედებას ”. განათლების ინტერნაციონალი და მისი წევრი ორგანიზაციებს ექნებათ შესაბამისი რეაქცია, როდესაც ეს პიროვნება თუ რომელიმე სხვა ან სხვა ჯგუფი, თუნდაც დამსაქმებელი განახორციელებს მსგავს ქმედებებს.

გთხოვთ, ქალბატონ ჩერქეზიშვილს აცნობოთ ჩვენი რეაქციის შესახებ და მისი ასეთი განზრახვები არ მოდის კონსტიტუციურ ჩარჩოებში და ასევე არღვევს სპმთპ-ის წესდებას, და წარმოადგენს მცდელობას ორგანიზაციის წინააღმდეგ.

განათლების ინტერნაციონალი მიადევნებს თვალს ყველა მოვლენას და აცნობებს მის წევრ ორგანიზაციებს.

თანადგომით,

ნიკოლას რიჩარდსი

განათლების ინტერნაციონალის მთავარი კოორდინატორი

All communications should be addressed to the General Secretary – Toute correspondance doit être adressée au Secrétaire général
Toda la correspondencia debe dirigirse al Secretario General – Der gesamte Briefwechsel ist an den Generalsekretär zu richten